მისტიკური სამყაროს სურათი ფრანც კაფკას ნაწარმოებებში

სოფიო მუჯირი

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: s_mudshiri@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac

ნაშრომში განხილულია ებრაული მსოფლმხედველობის, ტრადიციების, განსაკუთრებით კი ებრაული მისტიკის გავლენა ფრანც კაფკას პიროვნებაზე და მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. ფ. კაფკა თავის პროზაულ ნაწარმოებებში და ეზოთერულ ჟანრში დაწერილ აფორიზმებში, უხვად იყენებდა სიუჟეტებსა და კონტექსტებს კაბალას სხვადასხვა ვარიანტებიდან და ჰასიდური მისტიკიდან.

კაფკას ნაწარმოებებში უხვად ვხვდებით კაბალას „კვალს“: მოტივებს, თემებსა და ფიგურებს, ასევე, პოპულარულ ჰასიდურ ლეგენდებს, ბიბლიის ინტერპრეტაციებს, ქადაგებებს და ა. შ. ეს ინტერტექსტუალური პარალელები მკითხველს მიანიშნებენ ფ. კაფკას ნაწარმოებების სიღრმისეულ დონეზე, რომლის დეკოდირების გარეშე მისი გაგება შეუძლებელია. კაბალისტური ქვეტექსტი განსაკუთრებით იგრძნობა კაფკას რომანში „პროცესი“, მოთხრობებში „კანონის წინაშე“ და „სახეცვალება“. ამ ნაწარმოებებში წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრებისეული პრობლემებისგან და ცოდვებისაგან თავის დაღწევის, ჭეშმარიტი გზის მიგნების ცდები. კაბალაში გამოთქმულ რწმენას, რომ ადამიანს თეურგიის გზით, თვით უფალზეც კი შეუძლია ზემოქმედება, კაფკას ნაწარმოებების გმირები კარგავენ. თავისი პასიური თეურგიის გამო ისინი ვერ აღწევენ „უმაღლეს ინსტანციას“ და ეგუებიან თავიანთ ტრაგიკულ ბედს. ფ. კაფკა უმთავრესად აღწერს თვისობრივი იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს, რომელიც თავისი უუნარობის, ამბივალენტური ფიქრებისა და არასწორი ქმედებების გამო, ვერ ხდება უზენაესი „კანონის“ გაგების ღირსი.

საკვანძო სიტყვები: ებრაული მისტიკა, ფრანც კაფკა, ეზოთერია

ფრანც კაფკას ორაზროვანი ცნებებისა და ტექსტების რეცეფცია მათი სხვადასხვაგვარი და მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციის (იურიდიული, ფსიქოლოგიური, რელიგიური და სხვ.) შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ, არც ერთ მათგანში არ არის მინიშნება იმაზე, რომ ფ.

კაფკას ნაწარმოებებში მისი მისტიკური იუდაისტური შეხედულებებია არეკლილი. ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ებრაული მისტიკის, განსაკუთრებით კი კაბალას ისტორიისა და სიმბოლიკის მკვლევარი, პროფ. გერშომ შოლემი წერდა: „კაბალა რომ გავიგოთ, ამისათვის ფ. კაფკას ნაწარმოებები უნდა წავიკითხოთ, განსაკუთრებით კი მისი „პროცესიო“ [Scholem, 1975:158]. გ. შოლემის ეს მითითება, ფ. კაფკას რელიგიური ასპექტით მკვლევართა უმეტესობას მხედველობიდან აქვს გამორჩენილი, რადგან ისინი ყურადღებას ამახვილებენ ფ. კაფკას ტექსტებში ძველი აღმოსავლური, ბიბლიური იუდაიზმის გავლენაზე და არა იმ რელიგიური ტრადიციების როლზე, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ ფ. კაფკას ბიოგრაფიასა და შემოქმედებასთან [Nagel, 1983:118]. ფ. კაფკას შემოქმედების მხოლოდ რამდენიმე მკვლევარი აღნიშნავს მის გატაცებას აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული ჰასიდიზმით, რომელსაც ფ. კაფკა ეზიარა თავისი მეგობრის, იცხაკ ლევის და მისი თეატრალური დასის („იუდაისტური თეატრი“) მეშვეობით [Beck, 1970: 204-223], რაც ფ. კაფკას თავის დღიურებშიც აქვს აღნიშნული. ერთ-ერთ წერილში ფ. კაფკა მამას საყვედურობს, რომ მან მას ბავშვობიდანვე არ შეასწავლა იუდაიზმი და რელიგიური წეს-ჩვეულებები: „ეს არ იყო იუდაიზმი, რაც შენგან ვისწავლე“ [Kafka, Hochzeitsvorbereitungen, 1980: 144].

ფ. კაფკას იუდაიზმით დაინტერესება აისახა მოთხრობებსა და რომანებში, განსაკუთრებით კი დღიურებსა და აფორიზმებში, რომლებშიც თანამედროვე მკითხველი საინტერესო სამყაროს პოულობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჰასიდური და იუდაისტური ტრადიციების არცოდნა, ერთგვარ კულტურულ დისტანციას ქმნის ფ. კაფკას ნაწარმოებების იმ მკითხველთან, რომელიც ამ ტრადიციებს არ იცნობს. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ჰასიდური და იუდაისტური ტრადიციები, ებრაელთა ათასწლოვანმა ინტელექტუალურმა ისტორიამ არა მარტო შემოინახა, არამედ განაახლა არაებრაული კულტურული მემკვიდრეობითაც, რის გამოც მათი ამოცნობა მხატვრულ ტექსტებში გარკვეულწილად ყველასთვის შესაძლებელი გახდა. თითქმის ყველა ეპოქის არაებრაელმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა, იუდაიზმს თავისი ეპოქის მსოფლმხედ-ველობა შესძინეს. შუა საუკუნეებში პლატონისა და არისტოტელეს მსოფლმხედვე-ლობის მიმდევრებმა, არაებრაულმა მისტიკამ (დიონისე არეოპაგელიდან დაწყებული მაისტერ ეკჰარტამდე), ქრისტიანულმა ფილოსოფიამ, მეცნიერებამ და ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეების ებრაულ ფილოსოფიაზე, კაბალას მოძღვრებასა და ევროპულ ჰასიდიზმზე. ქრისტიანული და

ებრაული მისტიკური მოძღვრებების დაახლოებას ხელი შეუწყო XIII საუკუნეში (ჟირონას წრეში) პირველი ესპანელი კაბალისტების სწავლებამ (იჯუნ კაბალამ), რომელშიც ძველი ებრაული ჰეიხალოტის მისტიკა[1] და კოსმოლოგია დაკავშირებული იყო პლატონისტურ ემანაციასთან [Grözinger, Judisches Denken, Bd.2. :21-28]. XV-XVIII საუკუნეებში ქრისტიანული კაბალას განვითარებამ, „ზოარის“ წიგნმა, მოშე კორდოვეროს და მარტინ ბუბერის სწავლებებით დაინტერესებამ,[2] მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნებამ (საკმარისია დავასახელოთ თუნდაც თ. მანის „იოსები და მისი ძმანი“ და იოზეფ როტის „ჰიობი“ და სხვ.), ხელი შეუწყო ერთგვარი ზოგადსაკაცობრიო ცოდნის ბაზისის შექმნას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა განსხვავებულ კულტურათა რელიგიური და ლიტერატურული სამყაროებისა და მსოფლმხედველობის დაახლოვება.

ფ. კაფკამაც გაიარა ებრაული და ქრისტიანული ტრადიციების შემეცნების გზა, რომელიც მუდმივად ასაზრდოვებდა მის შემოქმედებას. მან მკითხველი აზიარა არა მარტო იუდაიზმის რელიგიურ პრინციპებს, არამედ ებრაულ და მისტიკურ მოძღვრე-ბებსაც (სიკეთის სრული გაცემის გზით შემქმნელის დონემდე, უმაღლეს სამყაროში ასვლას, რისთვისაც საჭიროა ადამიანმა სხვაგვარად იაზროვნოს, სხვა გადაწყვეტი-ლებები მიიღოს და იმ სამყაროს შესაბამისად „გამოიძერწოს“, რომელშიც ის უნდა გადავიდეს). მაგრამ ის „სპეციფიკურად ებრაული“, რაც ფ. კაფკას წერილებსა და დღიურებში ზედაპირისეულ დონეზეა წარმოდგენილი, მის მოთხრობებსა და რომანებში ეზოთერულად, სიღრმისეულ დონეზეა მკითხველისათვის დაფარული. პირველ რიგში ეს ეხება კაბალას სიმბოლოებისა და თეოსოფიის გაგებას, რომლის ელემენტები მრავლადაა რომანში: „პროცესი“ და მოთხრობებში: „კანონის წინაშე“ და „სახეცვალება“ („მეტამორფოზა“). იმისათვის, რომ შევძლოთ ფ. კაფკას ჰერმეტული ტექსტების გაშიფრვა, მცირე წარმოდგენა მაინც უნდა გვქონდეს კაბალასა და ჰასიდიზმზე. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, მოცემული ნაშრომის

---

1 ჰეიხალოტის მოძღვრების მიხედვით, მისტიკოსის მოგზაურობას ზეციურ დარბაზებში, რომლებიც ღვთის ტახტამდეა განლაგებული, ხელს უშლიან ჭიშკრის მცველები (Torwächter), მაგრამ მისი ზეასვლის შემთხვევაში, ის ემსგავსება ანგელოზს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ზეციურ ლიტურგიაში და იხილოს ღმერთი თავის ტახტზე. მოგვიანებით ზეციური დარბაზების იდეა თორას და კაბალას მოძღვრებასაც მიუსადაგეს (Judisches Denken. B. 2. : 310-325)

2 სეფერ ჰა ზოარი – „ბრწყინვალების წიგნი“ – ესპანური კაბალას უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც დაწერილია არამეულ ენაზე. მის მიხედვით ღმერთი და არსებული რეალობა აბსოლუტურად ერთიანია. ღმერთისაგან ემანირდება ათი სეფიროთი – უსხეულო, სულიერი ძალები. არსებული რეალობა შედგება ამ 10 სეფიროთისგან.

პირველ ნაწილში მიმოვიხილოთ ეს მისტიკური სწავლებები, ნაშრომის მეორე ნახევარში კი – მათი ასახვა ფ. კაფკას ნაწარმოებებში.

კაბალა უკვე ფ. კაფკას სიცოცხლეშივე 700 წლის ისტორიას ითვლიდა. თუ ამას მივამატებთ ძველ თალმუდურ ჰეიხალოტის მისტიკასაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა შუასაუკუნეებში კაბალას განვითარებისათვის, მაშინ ეს მისტიკურ-რელიგიური ფენომენი 1800 წელს ითვლის. კაბალას განვითარების ფაზებმა სხვადასხვა ეპოქაში, კულტურასა და სულიერ სამყაროში თავისი კვალი დატოვა და აისახა მომდევნო თაობების კაბალისტთა ნაწერებში, რის შედეგადაც შეიქმნა სხვადასხვა თვალსაზრისების ჰეტეროგენული კონგლომერატი. სავარაუდოა, რომ ფ. კაფკა არ იცნობდა ებრაულ და არამეულ ენაზე დაწერილი კაბალას საკმაოდ რთულ ტექსტებს, მაგრამ როგორც ჩანს, ის კარგად იცნობდა კაბალას პოპულარულ ვარიანტს, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობდა პრაღის ებრაული სათვისტომოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ განათლებაში.

კაბალას დედაარსია, არსებული რეალობის აბსოლუტური ერთიანობის რწმენა. ხილული სამყარო დაკავშირებულია უხილავ სამყაროებთან ერთადერთი ნაკადით. ესაა ღვთიური სინათლისა და სიცოცხლის გადმოდინების, ანუ ემანაციის[3] ნაკადი, რომლითაც შეიქმნა და დღესაც იმართება სამყარო.

ეს დასაბამიერი ღვთიური სინათლე (ნათელი), თავდაპირველად მთელ კოსმოსს ავსებდა. მაგრამ, იმისათვის რომ სამყარო შექმნილიყო, იგი ჯერ თვითკონდენსირდა, შემდეგ კი წარმოქმნილი სიცარიელე აავსო მისგანვე მომდინარე ზომიერი და თანდათანობით კლებადი შუქით. აღსანიშნავია, რომ ეს კაბალისტური წარმოდგენა – ღმერთისაგან სამყაროს შექმნა ემანაციის გზით – ეხმიანება ნეოპლატონისტურ ემანაციურ პანთეიზმსაც.

პირველი, რაც ემანაციის გზით წარმოსდგა ღმერთის, როგორც დასაბამი ნათელისაგან, არის ადამ კადმონი. ის ღმერთის ჭეშმარიტი ძე, ყველა არსების ერთობლიობა და მარადიული სიბრძნეა. მასში როგორც მიკროკოსმოსში კონცენტრირებულია მთელი სამყაროს ყოფიერება. ადამ კადმონის მეშვეობით ღმერთისაგან ემანირდება ათი სეფიროთი (სეფირა). მათი განხილვა ორმაგი თვალსაზრისითაა შესაძლებელი: მათი მიმართებით ღმერთთან და სამყაროსთან. პირველ შემთხვევაში ისინი ღმერთის შემოქმედებით ატრიბუტებად გვევლინებიან, ამიტომ მათ კაბალისტები „ღვთაებრივ სახეებს“, ასევე

[3] ემანაცია = 1. გამოსხივება; 2. ღვთიური წარმოშობა ყველა არსებისა და საგნის.

„ღვთაებრივ ძალებს“ უწოდებენ. ღვთაებრივის ეს ათი სახე – ათი სეფიროთი, წარმოდგენილია როგორც ზეციური ოჯახი, რომელიც შედგება მამის, დედის, ვაჟიშვილისა და ქალიშვილის, მამრობითი და მდედრობითი სუბსტანციების, შემწყალებლებისა და დამსჯელებისაგან. ღმერთი ვლინდება ამ ათი სეფიროთის სახით და მათივე მეშვეობით შეიმეცნება. ღმერთთან მიმართებაში სეფიროთები ათი გასხივოსნებული წრის სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც სამ სამეულად იყოფა“.[4] მათ მწვერვალში დგას მეათე სეფირა – მეუფება. ის გამოხატავს სეფიროთთა შორის არსებულ ჰარმონიას და სამყაროზე მათ აბსოლუტურ ბრძანებლობას. თუ სეფიროებს განვიხილავთ მათი სამყაროსთან მიმართებით, აქაც საქმე გვაქვს სამგზის სამნაწილეობასთან[5], რომელთა სათავეში დგას პირველნიმუშთა სამყარო, რომელსაც აერთიანებს ადამ კადმონი.

ყველაზე დაბალ საფეხურზე ემანაციური ნაკადი მატერიაში გადადის. ღმერთიდან გამონაშუქი ნათელი თავისი პირველწყაროდან უკიდურესი სიშორის გამო თითქმის ქრება. ეს მიმქრალი სინათლე ანუ სიბნელეა. ამიტომ, მატერია სიბნელის, ბოროტების საუფლო და მისი მთავრის, სამაელის საბრძანისია[6].

კაბალაში სამყაროთა დაყოფა ეფუძნება პლატონის შუასაუკუნოვან მიმდევართა
მიერ სამყაროს დაყოფას (ინტელექტი, ფსიქიკა, ბუნება და მიწიერი სამყარო). შუასაუკუნეების ფილოსოფიური სამყაროს სურათის ეს კონცეპტი, კაბალაში იდენტიფიცირებულია ძველ ებრაულ კოსმოლოგიურ ტრადიციასთან და გნოსტიკურ ელემენტებთან, რაც მთლიანობაში ქმნის ერთიან კომპოზიციას, ღვთიურ მოდელს.

კაბალისტები თვლიან, რომ სულმა სხეულში ცხოვრებით თავისი ვალი უნდა მოიხადოს და თავისი ამქვეყნიური დანიშნულება უნდა აღასრულოს. თუ სული ამქვეყნად

---

[4] პირველი სამეული მოიცავს გვირგვინს, სიბრძნესა და გონებას, მეორე – მშვენიერებას, მოწყალებასა და სამართლიანობას, მესამე – საფუძველს, ზეიმსა და დიდებას. ბოლო, უმაღლესი სეფირაა – მეუფება.

[5] უპირველესი და უზენაესი სეფირაა „ბრია“ ანუ „შინაგანი ცა“, ღვთის უშუალო საყდარი. მას მოსდევს „იეცირა“ – სამი საშუალო სეფირას საბრძანისი – ანგელოსთა სავანე, „გარეგანი“ ცა, სადაც დგას მეტატრონოსი. ქვედა სამყაროა ასია. აქაც სამი სეფიროთი მბრძანებლობს. ის ელემენტთა და ბუნების სამყაროა. ამ სამი სამყაროს თავში დგას პირველნიმუშთა სამყარო – აცილუთი. მას ისე მიემართება ზემოხსენებული სამყაროები, როგორც ასლი დედანს. იგი თვით ადამ კადმონია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა იდეას, ყოველი საგნის პირველ ნიმუშს.

[6] კაბალისტური ანთროპოლოგია ადამიანში განასხვავებს სხეულსა და სულს. ეს უკანასკნელი სამნაწილედადაა განხილული. ესენია ნეფეში, რუახი და ნეშამა, რომლებიც ასევე სამ სამყაროს შეესაბამებიან: ნეფეში – ასიას, რუახი – იეცირას, ხოლო ნეშამა – ბრიას. ნეფეში – ცხოველური სიცოცხლისა და გრძნობადი აღქმის საწყისია, ნეშამა – წმინდა ინტელიგენციისა, რომელსაც ბოროტის ქმნა არ ძალუძს. ამ ორს შორის დგას რუახი – ზნეობრივი ცხოვრების სუბიექტი. თუ რუახი ნეშამას ემორჩილება, ადამიანი სათნო და კეთილია. თუ რუახი ნეფეშს ემორჩილება, მაშინ ადამიანი ბიწიერია.

თავისუფლებას ბოროტად იყენებს და ერთი სიცოცხლის მანძილზე თავის მისიას არ ასრულებს, მაშინ ის სხვა სხეულში უნდა გადასახლდეს. თუმცა, საბოლოოდ ის მაინც ღმერთს უბრუნდება. სულებმა თავისი სრულქმნილება უნდა განავითარონ ათასგვარი განსაცდელისა და გამოცდით, რაც ძალიან წააგავს სულთა შესახებ პლატო-ნურ სწავლებას, ასევე ინდუიზმისათვის დამახასიათებელ რეინკარნაციის თეორიას.

კაბალას მთელი სისტემა ემსახურება ადამიანისათვის თვალის ახელას, სამყაროსა და ღმერთის შეცნობას, რათა მან დაინახოს საკუთარი შესაძლებლობები და მოვალეობები, შესაბამისი მოქმედებისათვის. ადამიანს, თავისი მედიტაციური პრაქტიკებით და შესაბამისი მოქმედებებით, ლოცვით, ებრაული წეს-ჩვეულებების დაცვით, თორას კითხვით და სხვ., აქვს უნარი ზეგავლენა მოახდინოს ღვთიურ სამყაროზე საკუთარი ბედის შესაცვლელად, რასაც თეურგია ეწოდება. თეურგიის უნარის ონთოლოგიური საფუძველი ყოველივე არსებულის ერთიანობაა. ამ ერთიანობის საფუძველზე ადამიანსა და ღვთიურ სამყაროებს შორის მყარდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ამიტომ, ადამიანის მიწიერ ყოფა-ცხოვრებას, მის ყოველ მოქმედებას, ადრე თუ გვიან გარკვეული შედეგი და რეაქცია მოჰყვება „ზედა ინსტანციებიდან“.

* * *

კაფკას გმირები ვერ ახერხებენ ღვთიურ სამყაროზე თეურგიულ ზემოქმედებას, რადგან ისინი მცდარ გზას ადგებიან, დაბალი დონის ციკლში ტრიალებენ და მიზანს ვერ აღწევენ. ასეთ „ამაო,“ პასიურ თეურგიას კაბალა უწოდებს „წარუმატებელი ლოცვების შედეგს“. ფ. კაფკას მოთხრობის: „კანონის წინაშე“ ერთ-ერთ გმირს – სოფლის მკვიდრს – არ ეძლევა ზეასვლის ანუ „კანონის“ სახლში შესვლის შესაძლებლობა, რადგან იგი ვერ ასრულებს თავის თეურგიულ მოვალეობებს. ის თვისობრიობის დაბალ საფეხურზეა ჩარჩენილი. ეს ღვთიური საფეხურები კაბალაში, ისევე როგორც შუასაუკუნეების პლატონიზმის სამყაროს სურათში, გაგებულია როგორც თვისობრიობის საფეხურები, „ხარისხთა“ იერარქია. ადამიანთა იმ სულებს, რომლებიც დაბალ საფეხურზე, ანუ ადამიანთა მიწიერ სამყაროსთან ახლო მდებარე საფეხურზე დგანან, იგივე ემართებათ, რაც „სოფლის მკვიდრს“ და რომან „პროცესის“ მთავარ გმირს, იოზეფ კ-ს. იოზეფ კ-ს საქმე სასამართლოშია, მაგრამ რასაც ის იქ ხედავს, არაფრით არაა უკეთესი მის მიწიერ ცხოვრებაზე. თეურგიას, რომელსაც ფ. კაფკა „პროცესში“ აღწერს,

კაბალა უწოდებს „კაბალას კრიზისს“, ადამიანის უუნარობას, თავისი მოქმედებებით დაიმსახუროს უფრო მაღალ საფეხურზე, „მაღალ ინსტანციაში“ ასვლა.

„კაბალას კრიზისის“ მსგავსი თვალსაზრისია მოცემული ჰასიდურ მისტიკაში. ჰასიდური მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, რაბინმა დოვ ბერიმ უარი თქვა თეურგიულ აქტიურობაზე. ის თვლიდა, რომ ამქვეყნად ადამიანის გასაჭი-რიდან ხსნას არა მისი თეურგიული აქტიურობიდან უნდა ველოდეთ, არამედ პირიქით, თეურგიული პასიურობიდან. მისი აზრით, ადამიანი ის ღვთის ჭურჭელია და ამიტომ უნდა უარყოს საკუთარი „მე“ და მთლიანად მიენდოს ღმერთს, ყოველგვარი აქტიურო-ბისა და ბრძოლის გარეშე. ესაა ის მდგომარეობა, რომელიც თანდათან იკვეთება რომან „პროცესის“ გმირის – იოზეფ კ-ს მოქმედებებში.

ჰასიდიზმში თეურგიის უარყოფის მეორე ვარიანტია საკუთარი პრობლემების მინდობა რაბინზე (ჰასიდური საზოგადოების რელიგიური წინამძღოლზე, „Ziddik“-ზე), რომელიც ამ საზოგადოების ინტერესების დამცველი და მრჩეველია. ფ. კაფკას „პროცესში“ რაბინის როლს ასრულებენ პასიურად მოქმედი ადვოკატები და მათი დამხმარეები სასამართლოში. აქაც თავს იჩენს „კაბალას კრიზისი“, რადგან ამ მოხელე-ებსაც არა აქვთ უნარი, ნამდვილად დაეხმარონ იოზეფ კ-ს, ან დახმარების ილუზია მაინც შექმნან, რომ მოქმედების სტიმული მისცენ დაბალ საფეხურზე ჩარჩენილ ადამიანს.

კაბალისტური სისტემა ყველაზე სრულადაა გადმოცემული „ზოარის[7]“ წიგნში, რომელიც ადამიანს გარდაქმნის იმ სამყაროს შესაბამისად, რომელშიც ის უნდა გადავიდეს. თუ ის არ შეესაბამება მოცემულ სამყაროს ისე, როგორც გასაღები ბოქლომს, მაშინ ეს სამყარო მისთვის არ გაიღება. ამის ტიპური მაგალითია „სოფლის მკვიდრი“ მოთხრობაში „კანონის წინაშე“. იმისათვის, რომ უმაღლეს სამყაროში გადავიდეთ, ჩვენი ყველა თვისებით ჯერ მის პირველ საფეხურს უნდა შევესაბამებოდეთ.

ლურიანული კაბალა[8] თავისებურად ხსნის თეურგიის არსს: „თავდაპირველი ემანაციის დროს მოხდა კოსმიური კატასტროფა, რომელმაც დაამსხვრია „სინათლის მიმღებები“ და გაფანტა ქერქში დამწყვდეული სინათლის წმინდა ნაპერწკლები, ადამიანს ევალება მათი აღდგენა ლოცვით და რიტუალური მოთხოვნების დაცვით. მხოლოდ ასე შეიძლება სამყაროს

---

[7] 1280-1286 წლებში, კასტილიელი კაბალისტის, მოსე დე ლიონის თხზულება „ზოარი“ („ბრწყინვალების წიგნი“).

[8] ესპანეთიდან ებრაელების გაძევების შემდეგ, კაბალას გავრცელების ცენტრად გადაიქცა ქალაქი სეფედი წმინდა მიწაზე. აქ კაბალას კოსმიური ასპექტი განავითარა ისააკ ბენ სალომონ ლურიამ (1534-1572).

ჰარმონიის აღდგენა და ღვთაების გამთლიანება, რაც არის გამოხსნა-გამოსყიდვის წინაპირობა.

ფ. კაფკაზე კაბალას გავლენა ჩანს „პროცესში“ გამოთქმული ქვეტექსტებიდან იმის თაობაზე, რომ უხილავი ღვთიური იერარქიები არა მხოლოდ დაბალ საფეხურებამდე, არამედ მის ქვევით, ყოფით ცხოვრებამდე აღწევენ, სადაც ადამიანთა ყველაზე ბინძურ და ბოროტ ქმედებებსაც ვხვდებით[9]. „პროცესში“ აღწერილია იერარქიის სწორედ ეს ყველაზე დაბალი დონე, რომელიც მთლიანად ადამიანურ სეფიროთშია პროეცირებული.

შემდეგი ქვეტექსტი, რომელიც გამოთქმულია „პროცესში“, არის ის, რომ სამართ-ლებრივი ინსტანციები, რომლებიც ვალდებულები არიან დაიცვან ადამიანი, ამავე დროს წარმოადგენენ სამყაროს იერარქიების ნაწილს. სწორედ ამ გადმოსახედიდანაა შესაძლებელი ფ. კაფკას ნაწარმოებების გაგება – როგორც მერყეობა სამართლებრივ და ღვთიურ პოლუსებს შორის, სიყვარულსა და „პროცესს“ შორის. სწორედ ეს ორი პოლუსი განსაზღვრავს ყოველივე არსებულს, უმაღლესი საფეხურიდან დაწყებული, უმდაბლეს საფეხურამდე, მიწიერ ცხოვრებამდე [იხ. „Judisches Denken“, Bd. 2: 171-177, 431-437, 573-578, 638-65]. „პროცესის“ გაუქმება შესაძლოა მხოლოდ ადამიანის აქტიური თეურგიის, სიყვარულის განვრცობის და ღმერთთან თანხმობის შემდეგ [იქვე.: 433, 451-457, 596-601]. ადამიანთა ცხოვრება სასწორია, რომელიც გადაიხრება ან დასჯის, ან გამართლებისა და განთავისუფლების მხარეზე. სიყვარულს შეუძლია „სასამართლო პროცესის“ შეჩერება, რასაც ჰასიდიზმის ზემოთ ხსენებული წარმომადგენელი დოვ ბერი, განკურნების მდგომარეობას ადარებს[10]. რადგან მისი აზრით, ადამიანთა მიერ თვითგანსჯის უარყოფა, მათ მიიყვანს სასამართლომდე და ღმერთთან განშორებამდე [იქვე, : 821-824].

ლურიანულმა კაბალამ განავითარა ადრინდელი კაბალისტების მოსაზრება ბუნების გასულიერებაზე და გაამყარა აზრი, რომ მთელი სამყარო სავსეა გზააბნეული სულებითა და დემონებით. ამის სათავე და მიზეზი არის ცოდვა, რომელსაც უნდა განვუდგეთ. საინტერესოა, რომ ფ. კაფკამ ლურიანული კაბალადან გადმოიღო კონცეპტი, არაცოცხალი ბუნების, მცენარეებისა და ცხოველების, ადამიანის ცხოვრებაში ინტეგრაციაზე [იქვე.: 619-

---

[9] კაბალას სხვადასხვა სისტემებში აღწერილია, რომ ბოროტება, რომელიც ღვთისგანაა მოვლენილი სამყაროში, მასვე ემსახურება (იხ. Yüdisches Denken, Bd. 2. გვ. 134-139, 171-177, 431-436, 436-577, 638-357, 867-884, 904-910).

[10] იხ. აქვე დოვ ბერის მისტიკის შესახებ, გვ. 826-852.

682][11]. ადამიანში ცხოველის ჩასახლება აღწერილია ფ. კაფკას მოთხრობაში: „სახეცვლილება“ („მეტამორფოზა“), სადაც ვეცნობით მთავარი გმირის, ხოჭოდ გარდასახული გრეგორ ზამზას უცნაურ თავგადასავალს. ლურიანულ კაბალაში ხაზგასმულია ცოდვისა და ბოროტების ყველგან მყოფადობა, რამაც შემდგომში შექმნა ასკეტიზმისა და განდეგილობის ისეთი ფორმები, რომლებსაც იუდაიზმი არ იცნობდა. ცოდნამ იმისა, რომ ცოდვა, განსაკუთრებით სექსუალობის სახით, ყველგანაა ჩასაფრე-ბული და რომ არსებობს მუდმივმოქმედი „უზენაესი სასამართლო“, გააძლიერა ლურია-ნული კაბალას გავლენა ქადაგებებზე, რელიგიურ ლიტერატურასა და ადამიანის მორალზე. ფ. კაფკას დღიურები მოწმობენ, რომ მისი ოჯახის წევრებიც ცოდვისა და დასჯისაგან შეშინებული ებრაელები იყვნენ, რაც აისახა კიდეც მის დღიურებში.

კაბალას და ჰასიდიზმის აქ განხილულ ყველა კონცეფციას აერთიანებს ის, რომ თითოეული ინდივიდის ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ხილულ სამყაროსთან, ასევე უხილავ ზესამყაროსთან. ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია უხილავი სამყაროს მიერ მის გამართლებაზე ან დასჯაზე.

განსხვავება კაბალასა და ჰასიდიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ: 1. ადამიანმა თავის ქცევაზე ან თავად უნდა აგოს პასუხი, ან ჰასიდი რაბინის მეშვეობით. 2. მან უნდა

აირჩიოს აქტიური თეურგიის გზა, ან უარი თქვას ყოველგვარ აქტიურობაზე.

ფ. კაფკას ნაწარმოებებში კაბალა არაა წარმოდგენილი სრული და სისტემური სახით, მაგრამ მის მხატვრულ ტექსტებს, ქვეტექსტად გასდევს კაბალისტური, ჰასიდუ-რი და ზოგადრაბინული მოსაზრებები, რომელთა დეტალური კვლევა მომავალში უნდა ჩატარდეს.

ლიტერატურა:

1. **Scholem G., -** Walter Benjamin-die Geschichte einer Freundschaft. Verlag Suhrkamp. Berlin. 1975.

[11] კაბალას ამ გვიანდელ ფორმაში თეურგია გაგებულია როგორც სულის განწმინდანების, კათარზისის პროცესი. ადამის – პირველი ადამიანის – ცოდვად დაცემის დროს, მისი სული დაიმსხვრა და სულის ათასობით ბრწყინვალე ნაპერწკლად გაიფანტა. ის ჩასახლდა ადამიანებში, ცხოველებში, მცენარეებსა და მინერალებში. ებრაელთა კოლექტიური ქმედების შედეგად, უნდა აღსრულდეს ის, რაც პირველ ადამიანს თავისი მაკროსულით უნდა გაეკეთებინა. სამყაროს ადრეულ ეტაპზე მომხდარი კოსმიური უთანხმოების შემდეგ, უნდა მოხდეს სულთა საყოველთაო განწმინდანება, რის შედეგადაც მოიკრიბება ყოველი სულის ნაპერწკალი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მოხდება, ცალკეული სულების ნაპერწკლები დაუბრუნდებიან ადამს, რომელიც ამიერიდან, მასზე ოდესღაც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს.

2. **Nagel B.,** _ Kafka und die Weltliteratur. Zusammenhänge und Wechselwirkungen. Winkler Verlag. München.1983.

3. **Beck E.T.,** _ Kafkas Durchbruch. Der Einfluss des jiddischen Theaters auf sein Schaffen. In: Basis, Jahrbuch für deutsche Gegenwartsliteratur 1. Suhrkamp Verlag. München. 1970.

4. **Kafka Fr., _** Hochzeitsvorbereitungen. Auf dem Lande und andere Prosa aus dem Nachlass. Hrsg. M. Brod. Frankfurt/M. 1980.

5. **Grözinger K.E. _** Judisches Denken, Theologie, Philisophie, Mystik. B. 2. Von der mittelalterlichen Kabbala zum Hasidismus. Campus Verlag. Frankfurt/M. 2005.

Sophio Mujiri

Iv.Javakhishvili State University

The image of ther mystical wolrd in the Works of Franz Kafka

Abstract

The article discusses the influence of Jewish worldview, traditions, especially Jewish mysticism on the personality of Franz Kafka and his literary works. In his prose works and aphorisms written in the esoteric genre, Kafka made extensive use of plots and contexts from various variants of Kabbalah and Hasidic mysticism.

In Kafka's works, we find abundant "traces" of Kabbalah:motifs, themes and figures, as well as popular Hasidic legends, interpretations of ther Bible, sermons etc. This intertextual parallels point the reader to Kafka's works is at a depth level that cannot be understand without decoding it.

Kabbalistic subtext is especially felt in Kafka's novel "Process", sort stories "Before the Law" and "Transformation". In these works, attempts to escape from life's problems and sins, to find the true path, are brought to the fore.

Key words: Jewish mysticism, Franz Kafka, esotericism.